

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
მხოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ კათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენი. მათ. 11—28.

№ 12

1883—1900

30 ივნისი

## რელაქსიისაზნ.

მსთხოვთ ყველას, ვისაც-კი ფული ექნება გა-  
მოსაგზავნი ჩვენს სახელზე ან რელაქციის სახელზე,  
პირდაპირ ჩვენ ან რელაქციის წარმომუგზავნოს ფოს-  
ტით; სხვა პირებზე გადაცემული ფული რელაქცი-  
ისაგან მიღებულად არ ჩაითვლება. ფულის ფოსტით  
გამოგზავნა-კი ძალიან გაადვილებულია. უკანვერ-  
ტოდ, (გარდასაცემ ბლანკით გაგზავნას ოცდახუთ  
მანეთამდე უნდა სამი შაური, უფრო მეტს-კი—ას  
მანეთამდე—ხუთი შაური, რომელსაც თვით რელაქ-  
ცია ანგარიშში მიითვლის.

## ვიდეუ ჩვენ მოძქეითა საყურადღებოდ.

ამ დღეებში საქართველოს მთელ სამღვ-  
დელოებას დაურვიდა გასაფრთხილებელი ცირ-  
კულიარული უქასი სინოდალნი კანტორისა-  
გან სხვა და სხვა გამოწერილობათა და მოწ-  
მობათა რეგანად მიცემის შესახებ. ეს უქასი  
გამოწვეულია იმის გამო, რომ სოციალური  
მღვდლები თავის მოვალეობას რეგანად ვერ



ასრულებენ სალდათად გასაწევვე ზიროთა შესასებთ  
საჭირო ცნობების მიცემის საქმეში. საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორამ, როგორც კი სამხედრო ბეგარა შემოვიდა ჩვენში, მაშინვე გამოუცხადა სამღვდელთაგანს, თუ როდის როგორი მეტრიკული გამოწერილობანი უნდა წარედგინათ მათ სალდათად გასაწევვე ზიროთა შესასებთ. ამ ნაჩვენებნი ფორმისამებრ ჩვენ მაშინვე შევადგინეთ ამ გამოწერილობის ფორმა, მაგრამ როგორც სხვას, ისე ამ ფორმასე დაბეჭდილ მოწმობასაც არ მიაქციეს ყურადღება. ზოგიერთები ისეთ გამოწერილობას აკმაყვიდნენ და დღესაც აკმაყვიან მასრის სამხედრო საკრებულოში, რომელიც სრულებით გამოცხადებულ სავალდებულო მოწმობათა ფორმას არ ჰგავდა. ამასთან ამ საჭირო ცნობებს აკმაყვიდა ძლიერ გვიან. ამნაირად ზოგიერთი დაუდგენელი მღვდლების წყალობით ბრალი ედება მთელს საქმედგელობას. ზოგიერთი მოსამსახურე ზიროთა მინც თავის უსაქმობას და თვის მოვალეობის აღუსრულებლობას ზიროდანი მღვდლებისაგან ამ მეტრიკულ გამოწერილობათა თავის დროსე წარუდგენლობას მიაწერენ ზოლმე...

შევადგინეთ მღვდლებისაგან მრევლთადმი მიწვევილი მოწმობანი მეტრიკული გამოწერილობანი და მოწმობანი რუსულად და ქართულად. მოწმობანი სინოდალნი გამოწერილობათა და მოწმობათა ბლანკები დაეთობა ნახევარ კაპეკად, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოწმობანი მღვდელი ამისთანა მოწმობათა და გამოწერილობათა ბლანკებს თავიანთ ბლანკებისაგან იყიდნათ თათო კაპეკად. ბლანკების, რომელნიც რამდენიმეთ ზრუნვეს თავიანთ საბლანკის სამღვდელთაგანსე, არ დანიარებენ ამ საჭირო ბლანკების მოპოებას ჩვენის სტამბიდან სამღვდელთაგანსე დასარიკებლად. ვეკლამ უნდა იცოდეს, რომ მოწმობანი მრევლის მღვდელს აქვს უფლება ეს საჭირო მოწმობათა ბლანკები, ქალაქი, მელანი, კალანი და ლაქა მოიპოვონ ვეკლესიის საშუალებით, თუ, მართლაც, ისე დადარიბდა მოწმობის მიცემა, რომ ნახევარი ან ერთი კაპეკის მიცემა აღარ შეუძლია საჭირო ბლანკში. მღვდლებიც, რომელნიც ამისთანა ბლანკებს მოითხოვენ არა ნაკლებ ერთი მან., მიიღებენ თითო ცალს ნახევარ კაპეკად.

დებ. დ. დამასიძე.

ჩვენ მოვალეობის მხედ ვივადით და ესლაც მხედ ვართ, სელი შეუწყოთ და დავესმაროთ სამღვდელთაგანს, რითაც კი შეგვიძლია. ჩვენ



აზნაზნაი სვანი ილუმინი მ. თეოზანი.



ოფელ იფარში (ზემო სვანეთში) რომ შეხვალთ, ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ ფერდობზედ დანისხავთ, თითქო არწივის ბუდეა მიკოსებულიო, ახალს სვანეს "ფესს".

აქ მიგვივანთ თქვენ საცალფესო გზა, რომლით სიარული ხანდისხან სამხელოც არის შეავისა გამო (მთა სწუდება). თქვენ შორიღვანგვ დაინახავთ მაღალ გუმბათიანს ეკლესიას, თურად შეღებილს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ არის დამთავრებული. თუძვა ის ახალს არქიტექტურულს გემოსედ არ არის ამენებული, მაგრამ მისს ამშენებელ არხიტექტორისაგან ისიც გაგიკვირდებათ და დიდთ მიიზნეფთ. ამ უმთავრესს ეკლესიას აქვს მოდგმული ზატარა ეკლესია, რომელიც მონუმენუ და ღვთისნიერს კაცსედ დიდს შთაბეჭდილებას ახდენს თავისი სიწმიდით, უბრალო მოწუობილობით და სიღარიბით. ამ ეკლესიას მოდგმული აქვს რამოდენიმე სენავი ზოგი ზაწია, ზოგიც ზოშიერი. აქაც ის სიღარიბე, მაგრამ სისუფთავე და უბრალო მოწუობილობა!.. აქვე ნახავთ აბანოს, სხვა-და-სხვა ევარს სენილებს, შენიერად მოვლილს ბოსტანს და სხვას. შესვლი-სათანავე თქვენ ვაიკონებთ ზეცის მუშის საღირს, ზატეოსან მუშაკ-ფუტკრის ზუზუნს...

ის, თითქო უხარბან თქვენი მოსვლაო, გარს გველებთ, ხან წინ მოგვივლისთ, ხან უკან, გე-ალურსებათ და თან თითქო თქვენი ცნობაცა ჭსურს: წმინდა გულით მოდიხარ სვანეში, თუ არაო? ცოტას გაივლით ამ მუშაკების სადგომს-ბინას, დაინახავთ—რევალ ხის ბუკებს. ზოგს-კი ბინა შენობის კედლებში აქვთ გაკეთებული... აქვე ახლოს მოჩანჩქარებს ანკარა წყარო. აქა-იქ გაჭიმულან სათიბები და ვანები, სადაც ითესება ზური, ქერი, შვრია, ფეტვი, ცერცვი, ოსპი და სხვ. ამას გარშემო შემორტეპია ტყე-მუსხარი. ეველგან ბუნების სიღამაზე, სიშვენიერე და დიდება!..

ქნლა შევიდეთ ერთს სამუალო ოთახში და რას დავინახავთ? ერთს კუთხეში ხის ფიცრებსედ ლოგინია გაკეთებული; ლოგინს აღმოსავლეთით უდგია ოთხკუთხიანი მაგიდა, იქვეა ორიოდგი უბრალო სკამი. მაგიდასედ აწევი საეკლესიო წიგნები, რამოდენიმე წიგნაკები წმიდანების ცხოვრებიღვან, რამოდენიმე მწერი ჟურნალ „მწეპისი“-სა, მიბამვა ქრისტესი, სელთნაწერები და სხვა. ჩრდილოეთით კედელს ბუნარი აქვს; ბუნარს აღმოსავლეთით უდგია ზატარა კიდობანი—ფეილის ჭურჭელი და ზედ გობი. აკერ ბუნარსედ მიუდებულია კეცები (ზურის გამოსაცხობად). მის ახლო აგდია ხის მაშა. ლოგინის ჩრდილოეთ მხარეს გაკეთე-

ბულია ზაწია მუაფი და მიკ აწუვია სხვადასხვა ჭურჭელი. იქვე ჰქვიდა ხის კანის „ბოკვით“ ლობიო, მის გვერდით მარლი და სხვა სუკ-მაზავი მასალები. ფანჯრიდან შემოფანხილია სიმა და კედელზედაა მიბძული ზარის დასარეკად, რომელიც კარედ აივანზედა ჰქვიდა. აკერ ლოცინის ერთს ნაწიზან აწუვია დართული მატელის მაფები, იქვე საქსოვი სავარცხალი და ვოფელგვარი მოწობილება, რაც-კი რამ საჭიროა ქსოვისათვის და რაც სვანეთში ხმა-რებაშია.

მკითხველს ეჭვი შეეპარება ეს იფიქრებს, ალბად ეს ოთახი დედაცაცის ბინაა, თორემ საქსოვ იარაღებს აქ რა უნდაა? არა... ლოცინსედ თქვენ დაინახავთ მწოლარეს თმა-ჭაღარას და ლობიოები სხანს აღმიანს. ის ეს ორი წელია სენმა შეიპურო და ფეხები დაუკავა-დაუსუთა. მიუსვდავთ ამისა მას წინანდელი ენერჯია-მომრობა არ დაუკარგავს... არცა ჰქავს მომეღელი, არცა ზატრონი! თვითონ აცხობს, იკეთებს საჭმელს, თვითონ რთავს, ქსოვს, თვითონ რეცხავს ჭურჭლებს და სხვა. ლოცინთან უდგია მისვანვე გაკეთებული ბორბლებიანი სკამი, რომლის შემწობითაც მდიდ-მოდის ოთახში და ოთახიდან ოთახში (უი-მისოდ ვერ დადის). ვინ არის ეს ბუნებისაგან დასჯილი? იკითხავს ზატრეცემული მკითხვე-

ლი? ეს არის ბუნებითი სვანი, იღუძენი მამა თუოფანე, რომელსაც შეიძლება იცნობდეთ.

აი ამ გამძრველის, დაუძინებელ მუშა ბერის ხელს ეგუთვნის ეგვლა ის, რაც ზემოდ ავსწერეთ. ბევრი იმრომა ამ ზატრეცემულმა სულიერმა მამამ, ააკო სავანე, რომელსაც მისაკუთრბ მისკან შემენილი აუარბელო, ადგი-ლები, ბევრ დატაკსა და დავრდომილებს ამ-ლეგვა ლუქმას, სცემდა ნუკეშს და ესლა, რო-დესაც მას მოძრაობა აღარ შეუძლია, ვიმეორებ, ახლაც არ უძლებს გული, რომ საწვალს არ შეეწიოს!.. რთავს, ქსოვს და იმითი ჰმო-სავს გაჭირვებულებს! აი სად არის ნამდვილი სიუვარული! აი სად სუფევს ქრისტეს მაღლი! აი ჩვენი მაცნოვრის მიმდევარი!...

—“დიდ არს ღმერთი, შვილო, — მეუბნებოდა ის საუბრის დროს ღმილით; მე დამსაჯა ღმერთმა ამ სოფლად და მომეგო რიგისამებრ!.. მე დავისაჯე, რათა ვადიდო ღმერთი მიუწდომელი! დიდება მისსა სასიერებასა!“... ის ამ სიტყვებით არც სამდურავს აცხადებს ღმერთსედ და არც სასოწარკვეთილებაში შედის, არამედ მადლობას სწირავს ღმერთს და იმედოვნებს რაღაცასედ..

მღვ. ი. მარჯანი.





### ქიზიუის სამღვდლოეობის ცხროგრებიდგან.

დღეს უველა შეგნებულთათვის ცხადია, რომ ცოდნით დაწყოფიებული საეკლესიო ცალთბა ტპობი-სმო-ვანი და სამბეტი დამიანის სულისა და გულის სისო-ებით ამბადლეული და გამანტეტიკები დეთური ძალაა, რომელიც ამისთანეე ერის ჯულსა და ცონებაში მტკიცე სარწმუნოების დამკვიდრების ერთი დედაბთბაგანც არის, მეტადრე სარწმუნოებაზედ გულადრეუბულ ჩვენი დროის ხალხისათვის.

როგორც საქართველის სხვა კუთხეებში, დღეს ქაზიუშიც, სამწუხაროდ, ძალიან კოჭდობს საეკლესიო ცალთბის საქმე, რის გამოც სიღნაღის მარხის სამღვდლოების ზარეულ ოქქის ბლადონიზმ მდგ. კირილე დეთისაგრიშვილმა 21 ჰბრიდს მოხანდას სამღვდლოების კრება, განუმარტა ცალთბის დიდი მნიშვნელობა და ბოდის სთხოვა: „შევიწეროთ უოგულ-წლიეე თითოეულმა კრებულმა სუთი მანათი და ცამოქებნით კიდევ სხვა წყარო ცალთბის მასწავლებლისათვისო. შეიძლება მეორე, მესამე და მეოთხე საბლადონის კრებულნიც შემო-ტეაერთდნენ ამ საქმეში და მამინ უფრო ცალთბის საუკეთესო მასწავლებლ-სწეციალისტს მოვიწვევოთ და უფრო ფართოდ გადავამს ფესვებს ეს საკეთილო საქმეო“. კრებამ ერთხმად მიადო ბლადონი კირილე დეთისაგრი-შვილის წინადადება.

ცალთბის მასწავლებელი ხირსის მონასტრში იქ-ნება, სადაც მის უოვლად უსამღვდლოესობის ეპისკო-პოს ლეონიდასკან დასრებული სამრელო სკოლაა დღეს. ქაზიუის დიაკონები და მონასტრის მონაზონნი ზრატეტიკულად შეისწავლიან ცალთბის მონასტრში უოველ დღე წირვა-ლოცვაზედ, ხოლო თეორიულადც შეისწავ-ლიან ცალთბის საქმეს სკოლის უფროსი მოწაფენი.

ხალხში მტკიცე სარწმუნოების დამკვიდრებისა და მისი ცონებრიე განვითარებისათვის, როგორც მოკეს-სენებთ, დიდი კვლევა აქვს აგრეთვე ცოცხალ, ზნეო-

ბრიე სიტუეცას, და აი, ამიტომაც ბლადონი კირილე დეთისაგრიშვილი უოველთვის ურჩევს მღვდლებს: ხაკო-ნით ხოლმე მრეველს სწავლის ძუძუთი აღზრდილი ცო-დნა ცონების თვლას ასახლებულადო. მამა კირილე არა იშვიათად უქადაგებს მრეველს ეკლესიაში და ხმირად ეკლესიის კარვად ჭირშიცა და ღხნაშიც ესუბრება ხალხს საკეთილო, მამა-შეღერო სიტუეით. წასრულს წველს თვლილში სეპარტო კრების დროს ბლადონიზმ დეთისაგრიშვილმეე ადრე კითხვა: ვითრეთ მის მადალ უოვლად უსამღვდლოესობას ფლბიანეს, რათა მან ნება მოტეგოს მსჯელობა ვიქონოთ კრებებზედ შემდეგ კითხვების შესახებაც: 1) შეიგვადოს დევეანდელი წეს-რეგი კოდის ზურის ადბისა, რომელიც დიდის უთან-სმოების ბდავს მღვდელსა და მრეველს შორის სარწმუნოების დასამცირებლადო, 2) უოველ ეკლესიის მიეზომის ხანისსაკან სხნავ-სათბი მიწებო და 3) უველ-კან ამუნდეს საეკლესიო სხვლები კრებულისათვისო. ეს წინადადებანი მიდებულ იქმნა და დღეს მის შესახებ კომისიაცა აღმონრეული საქართველის ექსარხოის ფლბიანეს თავმუდომარეობით.

კეთილსა და ცონივრულს სიტუეცას ბეგრი რისამე ტაკეუბა შეუძლიან ხალხში და ბლადონი დეთისაგრი-შვილმა მანხანის დებოს დამარსებულს ბ-ნს დ. ნადი-რასეს დიდი დახმარება გაუწია: მისი რჩეუთი და დარი-კებით ბეგრი მღვდელი და ერის კაცი ჩაწერა დებოს წვერად და ბეგრი მუშტარიც შეემატა დებოს. წრთელის კულითა და სულით გუსურეობ ბლადონის მამა კ. დეთი-საგრიშვილს უოველ ამ საკეთილო საქმეში გამარჯვებანს და მსტავსავე საქმეებში სხვებისაკანც წინაძუს და თავ-დადებანს, ვათარცა თეთი მაცნოვარი კეპობანებს მონტეულ იოანეს ზირით: „მწვემისან კეთილმან სული თვისი დაქსლევის ცხოვარბათვისო“. („ივერია“).



### მცხეთის საქართველო ტაძრის განახლება ამ მიმდინარე საუკუნეში (XIX ს.).



ამ მიმდინარე მე-XIX საუკუნეში, დღემდე საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, ორ გზის შეკეთდა მცხეთის ტაძრის სახურავი: ერთი საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის ევგენის დროს 1837—1844 წწ., ხოლო მეორე საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის ევგენის დროს 1860 წ. პირველად ტაძრის სახურავის შეკეთება დაუჯდა საქართველო იმერეთის სინოდალური კანტორას 28,696 მანეთი, ხოლო მეორედ 28,333 მან. 83/4 კაპ.

უშვიდესი უმართებელესი სინოდის უქაზით, 30 იანვრიდან 1828 წ. ეცხადებოდა საქართველოს ექსარხოს, მიტროპოლიტს იონას, რომ მათ შეუფუძვას წარედგინა დაწვლილებითი ცნობები საქართველოს ეკკლესიების კუდი მდგომარეობის და მათი შესაფერისად შეკეთებისათვის საჭირო თანხის შესახებ. სინოდის ასეთი განკარგულება გამოიწვია ტფილისის სამხედრო ლუბერნატორის, ლენერალ-ადიუტანტის სიპიაგინის შენიშვნებმა, რომელიც მან გაუგზავნა უმთავრესის შტაბის უფროსს მის იმპერატორებითი უდიდებულესობას გორის და ღუშეთის მაზრების დათვალიერების შესახებ 1828 წ. დეკემბრის თვეში. ეს შენიშვნები უმთავრესი შტაბის უფროსმა მიართვა მათ იმპერატორებით უდიდებულესობას. მათმა იმპერატორებით უდიდებულესობამ ამ შენიშვნებიდან, სხვათა შორის, დაინახეს, რომ საქართველო ტაძარი სოფელს მცხეთაში იმყოფება ძლიერ კუდს მდგომარეობაში ისე, როგორც საქართველოს სხვა ეკკლესიებიც. და ამიტომ ბრძანეს, რათა გენერალ-ადიუტანტის სიპიაგინის შენიშვნები მოხსენებოდა სინოდის ობერ-პროკურორს, რომ მან ეს აცნობოს უუწ. და უმართებელეს სინოდს. ხელმწიფე იმპერატორის სურს,—ნათქვამი იყო აქ,—რომ უუწ. სინოდმა ყურადღება მიექციოს საქართველოს ეკკლესიების შენობათა და განსაკუთრებით ყურადღება მიექცეს, რომ საქართველოს ეკკლესიების შემოსავალი ჯეროვანად იხარჯებო-

დეს, მასთან ზომები იქნეს ხმარებული, რომ საქართველოში ტაძრები შესაფერისი ღირსებით იქნენ დაკულნი; აგრეთვე ნაჩვენები იქნეს მიზეზნი, რომელთა გამო საქართველოს ეკკლესიები ასეთ კუდ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ამ მოწერილობის შესახებ მიტროპოლიტმა იონამ მისწერა უუწ. უმართებელეს სინოდს, 28 თებერვლიდან 1828 წ. დაწვლილებითი ცნობები, რომლებშიაც აღწერილი იყო 1) მდგომარეობა საქართველოსი, 2) ეკკლესიების მდგომარეობა საქართველოში, 3) შემოსავალი საეკკლესიო გლეხებიდან და მამულებიდან 4) საშუალებანი, რომელთა დახმარებით შეიძლება გაშენება საქართველოს ეკკლესიებისა. ამ ცნობებთან ერთად საქართველოს ექსარხოსი იონა, სხვათა შორის, სწერდა სინოდს, რომ საქართველოს ეკკლესიების კუდი მდგომარეობა შედეგია არა ადგილობრივი სასულიერო მთავრობის უყურადღებობისა, არამედ იმის, რომ ეკკლესიების შენობები ძლიერ დიდი ხნის არიან, ზოგი შენობები აგერ 1400 წ. იქნება, რაც აშენებულნი არიან, მასთან ეს შენობები სხვა და სხვა დროს არა ერთ გზის აობრებულიან მტერთაგან და ყველაზე უფრო მტერთაგან დაზიანებულია მცხეთის ტაძარი. ბოლოს მიტროპოლიტი იონა დასძენდა, რომ როგორც ეს უკანასკნელი ტაძარი, ისე საქართველოს სხვა ეკკლესიები მან შეძლებისადაგვარად შეაკეთა, მაგამ ერთ დროს განახლება საქართველოს ყველა მონასტრებისა, სობოროებისა და ეკკლესიებისა და მათი შენახვა მარტო საეკკლესიო გლეხების და მამულებისაგან შემოსავლით, შეუძლებელია, ვინაიდან ეს შემოსავალი მიდის სამღვდელთების, სინოდალური კანტორის, ექსარხოსის კანცლარიის, სემინარიის და ოთხი სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებლების შესანახად. მართალია, ყოველ წლოვით ამ შემოსავლიდან ცოტაოდენი რჩება ხარჯებს, მაგრამ, მიტროპოლიტის აზრით, ეს გადანარჩენი ფული მარტო მცხეთის ტაძრის შესაკეთებლადაც არ კმარა, ვინაიდან ეს ტაძარი ძლიერ დიდი და მასთან ძლიერ ძველი, ხოლო მეორეს მხრით, საქართველოში ძლიერ ძვირია მასალა და მოხელენიც ძლიერ დიდ ფასს ითხოვენ. ამ მიზნისათვის საჭირო იქნება, ნათქვამია მოხსენებაში, არა ნაკლებ 300,000 მანეთისა, რომელიც გადარჩენილია ეკკლესიების



ყოველგვარი ხარჯების შემოკლებით და ინახება მოსკოვის სააპკუნო რჩევაში.

ამ მოსაზრებათა მიხედვით უწ. უმართებელესი სინოდი, უმაღლესი ბრძანების აღსასრულებლად, უქაზით, რომელიც გამოგზავნილ იქნა მიტროპოლიტის იონას სახელობაზე, სწერდა: 1) მცხეთის ძველი ტაძრისაგან გადაღებულ იქნეს ნამდვილი გეგმა, პირი შენობისა და პირის გამოხატულება გვერდიდან შეხედვით (ПРОФИЛЪ), შეადგინეთ სხვა გეგმა, თუ როგორ უნდა განახლდეს აწი, აგრეთვე შეადგინეთ საჭირო ხარჯის ჯამი, რომელიც საჭირო იქნება ამ ტაძრის განახლებისა და მის გამშენებისათვის და ასეთები წარედგინოს უწ. სინოდს. 2) საქართველოს ძველი ქვის ეკლესიებისაგან, რომელნიც აღშენებულნი არიან IV, V და VI საუკუნებში ქრისტეს დაბადების შემდეგ, გადაღებულ იქნეს გეგმა, პირი შენობისა, რომელნიც სასარგებლონი იქნებოდათ როგორც საეკლესიო არქეოლოგიისათვის, ისე შემდეგ დროში აღსაშენებელი ეკლესიების გეგმის შედგენისათვის. 3) საქართველოს საეკლესიო შემოსავალთაგან გადაღებულ იქნეს უფრო მომეტებული ნაწილი დარჩენილი ფულებისა საქართველოს იმ ეკლესიებისა და მონასტრების შესაკეთებლად, რომელთაც ჰყავსთ გლეხები და სხვა მამულები, რომელნიც შემოსავალს აძლევენ ეკლესიას; სხვა სამრევლო ეკლესიების შეკეთება და განახლება დაევალოს მრევლთ, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმისათვის იხმარონ ყულაბებით შეგროვილი ფული და წმინდა სანთლის მოგებაც. უწმიდესი სინოდის ასეთი დადგენილება მოწონებულ იქნა მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისაგან.

ამ უქაზის შესახებ მიტროპოლიტის იონას მოადგილემ, საქართველოს ექსარქოსმა, მთავარეპისკოპოსმა ივენიმ წარადგინა უწ. სინოდში ორი ხარჯთა აღრიცხვა: ერთი მცხეთის ტაძრის შეკეთების შესახებ და მეორე ახალი სამრევლოს აღშენების შესახებ, ნაცვლად დანგრეულისა. ამავე დროს გაგზავნილ იქნა სამხედრო-სამოქალაქო მთავრობის მიერ შედგენილი ნახატები და აღწერილობანი მცხეთის ტაძრისა: ა) გეგმა და პირი შენობისა იმ სახით, რა მდგომარეობაშიაც იყო ეს ტაძარი იმ დროს; ბ) გეგმა, შენობის პირი ტაძრისა ხარჯთა აღრიცხვითურთ, რომელიც მოსალოდნელი იყო ამ ტაძრის შესაკეთებლად, რომ მას თავისი უწინ-

დელი სახე მისცემოდა; გ) გეგმა, წინა პირი და ხარჯთა აღრიცხვა ტაძართან ახალი სამრევლოს აღსაშენებლად. აღნიშნული ხარჯთა აღრიცხვისაგან, რომელიც შეადგინა ინჟინერ-პორუხიკმა უფ. ყარლანოვმა, სჩანდა, რომ მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად უწინ გამოანგარიშებული იყო 49,239 მან. 67 კ. ხოლო შემდეგ წითელი მღვინი ამ ჯამის ნაცვლად დაწერილია 29,931 მან. 36 კ., ხოლო სამრევლოს აღსაშენებლად კი გადაღებული იყო 6,227 მ. 65 2/3 კ. აღნიშნული პირველი ხარჯთა აღრიცხვით ნაანგარიშები იყო მცხეთის ტაძრის კედლების შეკეთება გარედგან და შიგნით, აგრეთვე შეკეთება თაღისა, სახურავისა და იატაკისა.

(გაგრძელება იქნება)



**გაბრიელ მანსკოპოვის სახელგაზედ არსებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო მუთაისში.**

ზემოხსენებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო და-არსდა 1897 წ. დაარსების პირველ ხანებში სამკითხველო როგორც თანხით ისე წიგნებითაც ღარიბი იყო, მაგრამ მიუხედავად ამ სიღარიბისა დღეს ეს წიგნთ-საცავ-სამკითხველო სანუგეშო მდგომარეობაშია თავისი წევრების წყალობით. აი წიგნების და ჟურნალების სია შემოკლებით: ა) ქართული წიგნები: 1) სასულიერო შინაარსისა—80 წიგნი. 2) ბელეტრისტული—604. 3) ისტორიული 186 წიგნი, 4) საბავშვო და სახალხო—234, 5) სამეცნიერო 54, 6) ჟურნალი 254 წიგნი. ბ) რუსული წიგნები: ა) სასულიერო—26 წიგნი. ბ) ბელეტრისტული—298. გ) ისტორიული—76. სახალხო და საბავშვო—100. ე) ფილოსოფიური—41. ვ) ჟურნალი 364.

ამ სახით დღეს ამ წიგნთსაცავ-სამკითხველოს შეუძლია ასაზრდოვოს გონებრივთა როგორც გაუნათლებელი ხალხი, ისე გვარიანად შეგნებული ინტელიგენტიც. სახლში წიგნების წადებათ სარგებლობენ 200 კაცამდე, რომელთა შორის უმეტეს ნაწილს მოსწავლე ახალგაზრდა და ნოქრების უმ-

ცირესი ნაწილი შეადგენს. განათლებულ ქვეყნებში უბრალო მუშებზე კი, რომელთა რიცხვი ნოქრებიც ურევინ, იარსებენ საკუთარ წიგნთსაცავ-სამკითხველოებს, კლუბებს, იკრიბებიან იქ, ერთმანეთს უზიარებენ თავიანი გულის თქმას, უკვირდებიან ცხოვრებას და შეძლებებისდავარად წინ იწყვენ და ამგვარად ებრძვიან ცხოვრების უსამართლო ტალღებს. დილიდან შეღამემდე მუშავობს მუშა ქარხნებში, ფაბრიკებში ან მაღაზიებში. იშოვნის თუ არა თავისუფალ დროს, იგი მაშინვე ხელს ჰყიდებს ჟურნალ-გაზეთობას ან სხვა რაიმე წიგნს და მეცადინობს სანამ ძალიონე შესწევს. თავი დაიანებოთ კლუბებსაც, საკუთარ წიგნთ-საცავებსაც, მაგრამ როდესაც მზად გაქვს წიგნები (თვეში ერთი შაური ღირს კითხვის ქირა, სამკითხველოშივე უფასოთ) და ჟურნალ-გაზეთებიც, ასეთ დროს როგორ არ უნდა გადღვა ერთი ორი საათი დღეში გონების საზრდოს მოსაპოვებლად? რასაკვირველია ჩვენ აქ სახეში არა გვყავს ყველა ნოქრები და მუშები. ჩვენ აქ სახეში გვყავს ისინი, რომლებიც თავისუფალ დროს ქუჩა-ქუჩა სვირობას ანდომებენ და გონების საზრდოზე არ ჰფიქრობენ. სამკითხველო საშუალო რიცხვით დღეში 50 მკითხველი ჰყავს. სამკითხველოს წინა წლებში თანხა ჰქონებია 136 მან. 24 კ. დღეს კი 95 მან. 88 კაპ., რომლიდანაც ძირითად თანხას შეადგენს 84 მან. სამკითხველოს მოდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „კვალი“, «კრებული», „მწყემსი“, «ცნობის ფურცელი», «მოამბე» და «ივერია»; რუსული: «Кавказ», «Вѣстникъ Иностранной литературы», «Тифлисскій листокъ», «Кут. Вѣд.» «Нива» და «Недѣля». ძლიერ კარგი იქნება, რომ ზოგიერთა ვრცელ პროგრამიან რუსულ ჟურნალებს გამოუწერდეს სამკითხველოს გამგე ქ. ელ. ჯინოვისა. აქვე უნდა მოვიხსენო ერთი ვარემოება, რომელიც, ჩემის აზრით, ყურადღების ღირსია. წიგნთ-საცავი იხდის წელიწადში 240 მან. სახლის ქირას. ქუთაისში შესაფერალოვას ისეთის სახლის აგებას, როგორც ეს სახლია, მოუწდება თუ არ ვცდები არა მეტი 2000 მანეთისა. თუმცაღა ერთად ორასი თუმანი ბევრია, მაგრამ წიგნთსაცავისათვის ძლიერ სასარგებლო იქნება, რომ ესლავ ამ თავიდან აიგოს საკუთარი სახლი, მიწემ ყოველ წლიურად იხადოს 240 მან. მას შეუძლია ამ 240 მანეთით 2000 მანეთის %-იც იხადოს წლიურად და თავნიც დაწვას

კოტაოდნად. ამგვარად რამოდენიმე წლის განმავლობაში წიგნთსაცავი გადაიხდის ამ ფულს. და ბოლოს წიგნთსაცავს საკუთარი სახლი ექნება. სასურველია, რომ ეს საქმე მალე განხორციელდეს.

ბენამენ ჩხაკვაშვილი.

## ბრძენ და მესნიერ კაცთა გონების სალა- როდან.

ლიტერატურა არის აპოლონის საქმელი, ხოლო თითონ ლიტერატურული შრომა-კი—ავტორების და გამომცემლებისა.

სულელი, რომელიც ეცდება თავის-თავის ქვეანად გამოჩენას, უფრო ძლიერ გამოაშკარავებს თავის სისულელეს.

მოისმინე საზოგადო აზრი, მაგრამ შენც გასინჯე იგი: გასოვდეს, რომ კაცის მკვლელობა იქნება ქველ-მოქმედებები—ერთ დროს.

საზოგადო სულელსაც კი გენიოსათ ვთვლით ჩვენ, როდესაც იგი გვაქვს და გვეფერება.

ადამიანი არის ნავი, ცხოვრება ოკეანე თავის ქარიშხლებით, რომელიც მიაქან მოაქანებს ამ ნავს თავის ზვირთებში.

დილობი არის სქელი პირ-ბადე, რომელიც ფარავს თავის პატრონის ნაკლოვანებას.

ცხოვრება სასიამოვნოა, როცა მისი არა გაგებება რა.

სიკვდილის შემდეგ უფრო შეიტყობენ და აფასებენ ხოლმე ხშირად კაცს, ვიდრე სიცოცხლეში.

შეხედულეება, შურზედ დამყარებული, მოკლებულია ლოლიკას.

უსაქმოდ მოყალიფ კაცი ხორც მეტია იმ საზოგადოებისა, რომელსაც იგი ეკუთვნის.



ღვარძლიანი მსჯელობა არის დამამტკიცებელი საბუთი მოლაპარაკის ტენ შერყეულობისა.

შრომა ქნის მშრომლებს, უსაქმობა კი სულელებს.

კაცი არის ბურთი, რომელსაც ბედი საითკენაც უნდა—იქით გადაადგებს.

ის სიტკბოებაა კარგი, რომელსაც თან არ მისდევს სიმწარე.

ის სჯობს, რომ მთელ შენ სიცოცხლეს ღარიბულად იმედით ატარებდე, ვინემ ბატონივით ცხოვრებდე უიმედლო.

### ც ღ ლ მ ა

(გუბლენი ზოგიერთ ჩვენს მანდილოსნებს).

ვიცი, პირველ დღეა-კაცსა მცნება რომ არ დაუმარხავს, ნათელი, ღვთის სამოსელი სულ-მოკლობით განუშარცვავს.

ქმარსაც მისწვდა ქალის ცდომა, ჩამოშორდა მას ნათელი, შერცხვათ შიშვლებს, შეიკერეს ლედვის ფურცლის სამოსელი!

კაცმა იწყო: თავში ცემა, ცრემლი ქვეყნის მოსარწყველად... მაგრამ ცდომით დეკარგული აღვილია საბოვნელად?!

მანდილოსნებს მოგახსენებ: რით გადარჩენ ღვთისგან დასჯას?! ლედვის ფურცლის ნაცვლად, დღეს რომ იკერავენ შშიმე ფარჩას?!..

ამისათვის გინდ დამსაჯონ, გინდ აწვიმონ, გინდ ათოვონ, მაინც ვუბრჩე: მოდის ღვენა, პრანქვა-გრეხა მიატოვონ...

თორემ ჩვენცა მოგვენთება როგორც ცეცხლი, მათი ცდომა დაიწვებით, ვერ გავშველის იმ კაცსავით თავში ცემა!...

რ. საჯაოხელი.

## სამსახურის დაწმინდობა იმერეთის მეფე სოლომონ II დროს.

სისიტორაო მასხლა

უფროსი პირი მეფის კარს იყო სახლთ-უხუცესი. ეს თანამდებობა ეკუთვნოდა ზურაბ წერეთელს. უპირველესი მისი მოვალეობა იყო გაწერა და მოგროვება სახელმწიფო ხარჯისა, საიდანაც მას ეკუთვნოდა მეთედი ნაწილი. ამას გარდა მებატონი მიუტანდნენ საჩუქრად ორსა ან სამს ქესსა წელიწადში. მეფის ნაბოძებიდან ყმათ—სახლთუხუცესს ეკუთვნოდა ფითო კომლზე ფითო ხარი. სახლთუხუცესობა რჩებოდა ერთ გვარში, თუმც, ხშირათ შეეკვიდრებოდა იგი არ გადადიოდა მამისაგან შვილზე.

სახლთუხუცესი გამგებელი იყო ყველა სახელმწიფო საქმეებისა. იგი თვალს ადევნებდა მეფის შემოსავალს. შემოსავალს შეადგენდა: 1) იჯარებიდან 1809 წ. 97 ქესსა (ოსმალური ფული) ანუ 20.000 მან. 2) საურნე—ფითო კომლზე ორი მარჩილი (=1 მან.), 3) საუდიერო—კომლზე ექვსი ბათმანი ხორბალი (ბათმანი 11 გირვანქაა), ან 15 ბათმანი ღომი და 120 თუნგი ღვინა. მთელ სოფელს შეაწირდნენ აგრეთვე პირუტყვს ასე, რომ ათ კომლზე მოდიოდა ერთი ძროხა და რამდენიმე ცხვარი და ქათამი. სახსო ყმათ ედგათ გარდაუწყვეტელი ხარჯი, მათ შეაწერდა სახლთუხუცესი „თავის მიმხედველობით“. 4) მეფის შემოსავალს შეადგენდა აგრეთვე ჯარიმა, ქურდს ერთმეოდა ერთი-სუთათ. ამ სუთი ნაწილიდან ორი წილი შეირიცხებოდა სახელმწიფოთ, ორი წილი ეძლეოდა ნაპარევის პატრონს და ერთი წილი ბოქაულთუხუცესს. 5) ქონება უმემკვიდროთ ამოწყვეტილისა შეირიცხებოდა სამეფოთ. ამისთანავე უნდა შეენიშნოთ, კერძო საკუთრება მეფისა და სახელმწიფო ქონება არ იყენენ განსაზღვრულნი, —ორივე მეფის სარჩო იყო. დედოფალს შემოსავალი ჰქონდა საკუთრათ: 12 ქესსა და 274 კომლი აზნაური და გლვხი. მისი შემოსავალი არ აღემატებოდა 2000 მ. ბატონიშვილებს ჰქონდათ საკუთრება—საბატონიშვილი.

მეფის ქონების გამგებლობისათვის სახლთუხუცესს ყავდა თანაშემწენი: 1) ხაბაზთუხუცესი, ამ

თანამდებობაზე ამოირჩეოდა ყოველთვის თავადი ნიჟარაძეთაგანი. ის იგზავნებოდა ხორბლის და ღომის მოსაკრებათ, თითონვე იყო მოვალე მის შენახვისა და ამ შრომისათვის მას ეკუთვნოდა მეთაფი ნაწილი. 2) მეღვინეთ უხუცესნი: სვიმონ წერეთელი და ერთი იოსელიანთაგანი. ესენი აგროვებდნენ და ინახავდნენ ღვინოს, რისთვისაც მათ ორიენის ურთათ მიეცემოდათ მეთაფი. 3) მესტუმრეთ-უხუცესი. ამ თანამდებობაზე ირჩევდნენ იოსელიანთაგანს და ან საყვარელიძიანთაგანს. ესენი მოაგროვებდნენ პირუტყვსა, რისთვისაც მათ ეძლეოდათ ტყავი და თითო ბათმანი ხორცი თითო ძროხაზე.

მეფესთან იყვნენ შემდეგი თანამდებობის პირნი: 1) მორდალი ანუ ბექდის შემნახავი (ავალიშვილთაგანი). სიგელზე ბექდის დასმელს აძლევდნენ ხუთ მარჩილს კომლზე და იჯარიდან თითო მანეთზე ოროლ გროშს. 2) მალფეთ-უხუცესი (წერეთელთაგან) მათ ებარათ სახელმწიფო ფული და ქონება. იღებდნენ მეთაფის საჩუქრის გაცემის დროს. 3) ფარშეთ-უხუცესი (ან. აბაშიძეთაგანი) ებარა სასმელ-საქმელი მეფის სახლისა. ეძლეოდათ საჩუქარი მეფის ნებით და მეთაფი მეფისაგან ნაბოძები ტანისამოსისა, მეფის ძველი საღამური ტანისამოსი, ქვეშავები, ხალიჩები, ალთაფი, ტაშტი და სხვ. 4) მეჯინბეთ-უხუცესი (თავ. აბაშიძეთაგანი), ეძლეოდა მეთაფი მეფისაგან განსაჩუქრებელი ცხენისა. მეფის ჯოჯიდან კვიცი და თვალ-წამხდარი ცხენები; მეფის ომში და ნადირობაში გამონაცვალი ტანისამოსი და ძველი უნაგირი. 5) ბაზიერეთ-უხუცესი (ან. ყოჩბეგთაგანი. რომელსაც ებარა მეფის მიწინა, ქორი, ბაზიერი და სხვ.) 6) მეძაღვთ-უხუცესი (თავდგირიძეთაგანი), რომელსაც ებარა მეფის ძაღლები. ამ ორ მოხელეს ჯამაგირათ ქონდა მეთაფი ფრინველისა და სხვა სტაგირა, რომელიც გროვებოდა ქორთა და ძაღლებთა საზრდოთ. რასაკვირველია, როგორც ზურაბ წერეთელი სწერს, ქონდათ საერთოთ მოხელეებს სხვა სარგებლობაც, მაგალითათ, მომატებულ ხარჯს აგროვებდნენ და ან მეტათ აფასებდნენ მეფის ნაჩუქრის, რათა მეტი სარგებელი მიეღოთ. ხშირათ ძალათ უფუჭებდნენ ქუჩებს და სხვ.

სოლომონ მეფის დროს იმერეთი ექვს მზრათ იყო გაყოფილი. სამოქალაქო გამგებლობისათვის:

ვაკე, ოკრიბა, საჩხვიძეო, არგვეთი, რაქა და ლენბუში. სამოურაონი იყვნენ: 1) ქუთაისისა (თავ. წულუკიძეთაგანი), 2) ჩხეიძისა (თავ. წერეთელთაგანი), 3) ლომიანთხევისა (ან. მაკვაკრიანთაგანი), 4) ხონისა (ან. აბულაძეთაგანი), 5) საპიპოსი (თავ. ლორთქიფანიძეთაგანი), 6) საჯავახოსი (თ. ლორთქიფანიძე), 7) საქილაო (ან. კორძაია), 8) ფარცხანყანევი (თავ. ნიერაძე), 9) გეგუთისა (თ. იაშვილი), 10) რიონისა (ან. მესხი), 11) ვარციხისა (თ. წერეთელი), 12) სიმონეთისა (ან. კლდიაშვილი), 13) მუხურისა [ან. საყვარელიძე], 14) საზანისა (თ. ავალიშვილი), 15) საქარისა და კვარისა (თ. აბაშიძე), 17) მანდისა და ხილისკარისა (თ. ლეონიძეთაგანი), 18) გლულისა, ღერბისა, ქადრათისა (თ. ჯაფარიძე), 19) ტყვისისა (თ. გელოვანი) და სხვ. დასახელებულნი მოურაენი ცხოვრებდნენ ან მეფის ციხეში, ან საცა სახასო ყმანი იყვნენ.

საეკლესიო მამულების მოურავებთა ირჩეოდნენ ეკლესიის ნებით. მოურავი შემოსავალს გაყოფდა ხშირად მიდნენ ნაწილათ, რამდენი ოჯახიც იყო იმათ გვარში. მოურავს შემდეგი სარგებლობა ქონდა: მოგზაურობაში სასმელ-საქმელი იყო მოუკლებლათ და სახლში ძღვენი. სარგებლობდა ამორჩევით ერთი სახასო გლეხით, რაც დებულემა იყო. ქვრივების საჩუქრო ეკუთვნოდა მას. მოურავს მოუხნავდნენ, დაუთესავდნენ და მოუმიკდნენ. ეძლეოდა მსახური და მეფის ნაჩუქარიდან მიეცემოდა რამდენიმე ნაწილი.

ქუთაისის მოურავს საზრდოთ ქონდა: იჯარების შემოსავალი მარლისა, თევზისა, საქონლისა, საქმის გაჩევისა. მას ეკუთვნოდა საზრდობის ხარისხი. სამართალს აწარმოებდნენ მდივანბეგნი ან სახლში, ან ჩარდილოვან ხის ქვეშ. სამოქალაქო საქმე განირჩეოდა ფიკით: უნდა დაეფიქნა პასუხის მცემელს რამდენიმე თანამოციკრითა, რომელნიც თანასწორნი უნდა ყოფილიყვნენ მოჩივრისა ხარისხით. ათ მარჩილათ ღირებულ საგანზე საჭირო იყო ერთი თანამოციკარი, ოცს მარჩილზე—ორი და სხვ. ვინც ვერ იქირავებდა საჭირო რიცხვს მოციკართა, ის გამტკუნებლობდა. შევადგენდნენ პატარა ბარათს და აჭვე აძლევდნენ გამართლებულ მხარეს. როცა ირჩეოდა საქმენი გაცარცვისა, მკვლევობისა, ტყვეთა გაყიდვისა, მაშინ მდივანბეგნი მოი-

წევდენ მოწმეთა და ქვემარტების დასამტკიცებლათ დამნაშავეს თავს ამართლებინებდნენ ვახუშტის რკინით, მღვდარე წყლით და ხმალში ვასვლით. რადგანაც ვახუშტე მეფის კანონით კაცის მკვლელს დიდი ჯარიმა ედებოდა, ამიტომ სხვანაირი სასჯელს მიუწყოდნენ: 1) ვინც გულში განზრახვით მოჰკლავდა კაცსა, მას დაწვამდენ, ან ცოცხალს დამარხავდენ და მოკლულის სასარგებლოთ ფულსაც დედვენებდენ. 2) ვისაც გვეყინდა სამზე მომეტებული ტყვე, მას ორივე ხელ-ფეხს მოსჭრიდენ; სამზე წაკლებს გამყიდავს ან ხელს, ან ფეხს მოჭრიდენ. ნაქურდალი ერთი ხუთათ გადახდებოდა! ქურდების და ავაზაკების პოვნა ვალათ ედოთ ხევისთავთ (თავ. ბარათაშვილი), რომელნიც იღებდენ ჯარიმის მებუთებს. სამოქალაქო და სუყველა საქმე დაბოლოვებული ჯარიმის გამოართმევით, აღსრულებასი მოჰყავდათ ბოქალეებს. ბოქალეთ-უხუცესი იყო წერეთელთაგანი. ამას ვკუთვნოდა მეთაფი მამულის ფასისა ან ჯარიმისა; თითო აბაზი თანამოციარზე; თითო ოჯახიდან საურის აკრეფაზე ცამეტი ფარა. ამ შემოსავლიდან ბოქალეთ-უხუცესი აძლევდა ბოქალეებს. უკმაყოფილონი დიანდგათა განაჩენით ჩიოდნენ მეფესთან. მეფე კვალად განაჩენებდა საქმეს ან თითონ აპატებდა დამნაშავეს სიკვდილით დასჯას.


სლომონ მეფის დროს იყენენ სამნი სარდალნი. უფროსს მათ შორის, თავ. ქიხოსრო წერეთელს, ჰყავდა განგებლობასი ჯარი ახლანდელი შორაპნის და რაქის მაზრისა. იმას ჰქონდა ორი ბაიროლი: ერთი მწვანე აბრეშუმის ფარჩისა წმ. გიორგის ხატით, მეორე წითელი აღგილიანი ფარჩა და ზედ გამოხატული ჯვარცმა იცხო ქრისტესი, ოკრიბის სარდალს აგიაშვილს ჰქონდა თეთრი და ჩაღის ფერი ბაიროლი, ზედ გამოსახული ჯვარით მზე-მთვარით; ჯარი ვაკისა (ქვემო იმერეთისა) ებარა სვიმონ წულუკიძეს თავის ბაიროლით. ვინც ომში მოერიდებოდა სამსახურს, მას ყაბალახის მაგიერად დაახუროდნენ ლენაქს. ვინც ახირებით უარს ჰყოფდა ომში წასვლას, მას ჩამოართმევდენ ყმას. ასაჩუქრებდენ გამოჩენილთ თოფით, ცხენით, თანამდებობით. მაგრამ ომში უფრო საშოვრისათვის მიდიოდენ, დავლის მოსაპოვებლათ, რის შესახებ მეფე ვახუშტე დაწვრილებით განმარტავს. თუ წადებული საგზალი, თეთოთყულს თავისთვის არ

ყოფნოდა, მოჰკრეფავდენ ვარშემო მდებარე სოფლებში, უთანასწოროთ ვინც შეხვდებოდათ. მშვიდობიანობაში ჯარს დიათხოვდენ და რჩებოდნენ მეფის გუშაგნი. ზოგ-ზოგს ცხენში ეყენათ ჯარი და ზარბაზნები ბოლოს დროს (კვარის ციხე, ჩხერი, ნაგორვეი, ხოტვეი).

—

ეს წერილი დაიყარებულია იმ ცნობებზე, რომელნიც ჩვენ ამოკვრიბეთ ჟურნალ „ცისკრიდან“ (1860, 1).

(„კვალი“).



გლაქების უოფა-მდგომარეობის შესახებ ახალი განკარგულება.

მმართველობის უწყვეტა აჩის დაბეჭდილა შემდეგი უმაღლესი განკარგულება;

გავკასიაში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთა გამოურევეველმა მდგომარეობამ მიიპყრო ჩვენს ეურადდება. მოვისურვეთ რა გავწეს-რიგება მათი უოფა-მდგომარეობისა, ჩვენ მივანდეთ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს შემუშავება ზემო ხსენებულ გლეხთა მიწად-მფლობელობის უფლებათა და გავწეს-რიგების პროექტის შედგენა და მისი სახელმწიფო საბჭოში წარმოდგენა.

ესნა, განვიხილოთ რა სახელმწიფო საბჭოში წარმოდგენილ პროექტი, მასში გამოთქმულნი დასკვნანი და სხვა მოაზრებანი, ვბძანებთ: იმ სახელმწიფო გლეხთა უოფა-ცხოვრების და მიწის მფლობელობის შესახებ, რომელნიც სცხოვრობენ სახელმწიფო მამულებზე ტფილისის, ელისავეტპოლის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში, —ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლენჩუქის, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში, აგრეთვე სოხუმის ოლქში, —მიდებულ უნდა იქმნას ქვემო მოყვანილი დაკანონებული. სოლოეს განკარგულებანი არ შეეხებთ იმ პირთ, რომელთა მფლობელობა განმარტულია განსაკუთრებულ კანონებში.

1) ქძღვათ ნადეფები სოფლის საზოგად-



დაოებებს, სოფლებს და უბნებს მფლობელობის იმ უფლებათა დაცვით, რომელნიც უოფილა აქამომდე.

2) სახელმწიფო მოსახლეთა კრებას (сходъ) ეძღვნა ნება საზოგადო მფლობელობა მამულებისა შეცვლილ იქმნას ჩამომაველობით, მფლობელობით თუ ამის თანახმა იქნებიან ორი მესამედი იმ მცხოვრებთა, რომელთ ნება აქვთ კრებაზე დასწრებისა.

3) სახელმწიფო გლეხ-კაცთა მიწად-მფლობელობის განწეს-რიგებას შეუდგებიან ჯერ-ჯერობით ამ ადგილებში, სადაც მიწები უკვე გამოიჯნულია და გამოირკვეულია სახელმწიფო მიწები.

4) მიზომილ ადგილების მფლობელობის საბუთად ქოვედი მოსახლე მიიღებს განსაკუთრებულ ქაღალდს, რომელსაც ჰქვია «отводная запись»

5) სახელმწიფო მოსახლეთ, ქოვედი წიდე უნდა იხადონ განწესებული ვარდასახადი მიწის მფლობელობისათვის. ამ ვარდასახადს ეწოდება «государственная оброчная подать».

6) საზოგადოებები, სოფლები და უბნები, რომელთ მიეც მათ ნადელები დამტოვებულია წესით, იუფლებენ ამ მამულებზედ იმ შემთხვევაშიაც, თუ ნადელები ადგილობრივ არ აქვთ მიზომილი.

8) ნადელების მიზომის დროს ადრული დავა საზოგადოებათა, სოფლებსა და უბნებს შორის გაირჩევა დაარსებული წესით.

9) საზოგადოებებს და სოფლებს, რომელთ კავკასიის მთავარ-მმართველად ნამყოფ პირთაგან ნება აქვთ მიცემული სახელმწიფო ტყეებიდან სხვა-და-სხვა ხის მასალის გამოატანაზედ საოჯახო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, — ს უფლება შემდეგშიაც შეინახონ. ამ საგნის სასურველი გაწეს-რიგება მიენდობა მიწად-მოქმედების სახელმწიფო ქონებათა მინისტრს და კავკასიის მთავარ-მართველს.

10) იმ ადგილებში, სადაც ტყე იმდენად ბევრია, რომ შესაძლებელი შეიქმნება ხის მასალის მაკორად — სოფლებს და საზოგადოებებ. მიეცეს

პირდაპირ ტყეები ნადედად, ტყეები ეძლევათ საზოგადოებებს და სოფლებს.

11) ტყის მასალის სარგებლობისათვის ან ტყის ნადედად მიზომისათვის გლეხ-კაცობამ უნდა იხადოს საზინის სასარგებლოდ ტყის ბაჟი «нашней налогъ».

12) ნადედად მიზომილ მწიფით და ტყეებით გლეხ-კაცობა ხელ-შეერებლად უფლობს, და არ შეიძლება ამისი სხვისთვის გადაცემა ან ვალებში წართმევა. მხოლოდ ის მწიფი და ადგილები, რომელთ გლეხი კაცი მფლობელობს მეგვიდრობით, შეიძლება შესყიდოს იმავე საზოგადოების გლეხმა ან მთელმა საზოგადოებამ. ასეთი ადგილები თავისუფალნი არიან სსსამართლოსაგან დაკისრებულ ვარდასახადისა და ჯარიმისაგან.

13) მიწის გულში ადამიანილ მადნეულობის შესახებ, აქაც შეურყვევლ ძალაში უნდა იყოს ის წესები, რომელნიც ჩამოთვლილია სამთო კანონების 201 მუხლში. (კანონთა კრებული. ტ. V. ნაწ. I. გამოც. 1893 წლისა).

14) მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს დაევალება წარადგინოს კანონმდებლობის წესით დასამტკიცებლად: I შრომეტი ნადელების განწილების და საქმის წარმოების მოწყობის შესახებ ტფილისის, ვანჯის, ბაქოს და ერევნ ს გუბერნიებში; ქუთაისის, შორაპნის, რჭის, ლენჩუპის, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში, აგრეთვე სოხუმის ოლქში. მოაზრება იმის შესახებ, თუ სად შეიძლება გლ-კაცო ტყის მასალის და შემის მაგვრად მიეცეთ ტყე ნადედად და 2) ნესხა საჭირო მოხელეთა და საჭირო ხარჯთ ადრისება.

II ნადელების მიცემა საეკლესიო კრებულს ტფილისის, ვანჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში, ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლენჩუპის, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში და სოხუმის ოლქში, თუ ამისათვის აღმოჩნდება თა

7) ნადელებათ მიეზომებათ: ა) სახლ-კარის ადგილი და ეზო, ბოსტნები, ზაღები, ვენახები, სახნავი მიწები—სარწყავი და ურწყავი, საძოვარი ადგილები, საწყლიპირო ადგილები, ხეხილის და სხვა დარკულ ხეებით სავსე ადგილები, გამომშრალი ჭაობები. ნაკაფები (ნაკერე) და სხვა მიწები, რომელნიც მიეცემათ გლეხთ, სახელმწიფო გლეხთა კანონების 198 მუხლის ძალით, კანონთა VII ტ. II ნაწ. 1857 წ. გამოცემა, სამკურნეო და სამრეწველო დაწესებულებათა ასაშენებლად; ბ) საზოგადოებრივ უკვლას მიწები და ადგილები, რომელნიც მისცემია გლეხ-კაცობას კანონით ჩამომავლობით სამფლობელოდ. და გ) უკვლას მიწები, რომელნიც მისცემია მას უსარგებლნიად დიდი ხნით ვისიმე წაუდავებლად.

შენიშვნა. ის ოფიციები, ბუჩქნარები და მდინარე ხარისხის მიწები, რომლებიც მოყვანილია სანადელო კარგ მიწებ შუა, მიეცემათ აგრეთვე ნადელებათ მიუხედავად კასაწარმოებლად და გამოიჯანს შესასწორებლად.

ვასუფადი ადგილები თანახმად გამიჯანს კანონის 349 მუხ. 1 და 2 მუხის; უკეთეს არ აღმოჩნდება მიწები ეკლესიის კრებულს დასაკმაყოფილებლად, მაშინ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო მამულების მინისტრი უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის თანახმად მიდებენ ზომებს სასულიერო წოდების დასაკმაყოფილებლად.

III მიენდოს მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, რათა, შინაგან საქმეთა მინისტრთან და გაკასიის მთავარ-მართებელთან შეთანხმებით, სახელმწიფო ადგილებზედ მცხოვრებთა შესახებ კანონების თანახმად გააწესრიგოს მიწის მფლობელობა უბინადრო გლეხთა (козачество) იმ ადგილებში, სადაც ეს შესაძლოა აღმოჩნდება.

დედასწვდ მათი იმპერატორებით უფიდე-ბუდელობათა ხელით მოწერდია

(ნიკოლოზი).

### ახალი ამბები და შენიშვნები.

გაზეთები გვაცნობენ, რომ მალე პეტერბურგში გაიმართება მთელის რუსეთის შინა-მრეწველობის გამოფენა. ამ ჟამად საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე შეიმუშავა შემდეგი წეს-რიგი გამოფენისა: გამოფენას ხელი უნდა შეუწყონ და შეაგროვონ ექსპონატები ადგილობრივ სადმინისტრაციო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ, ერობამ, შინა-მრეწველობის კომიტეტებმა და ყველა კერძო პირებმა, ვის ყურადღებასაც მომავალი გამოფენა იზიდავს. გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ როგორც უკვე მრეწველთ, ისე საზოგადოებათაც. ადგილის დაჭერისათვის გამოფენაზე ექსპონენტს არაფერი არ გადასხდება. გამოფენაზე ნებადართული იქნება საოჯახო ნაწარმოებით ვაჭრობა. საუკეთესო ექსპონატები დაჯილდოვებულ იქნებიან. ვისაც სურს გამოფენაში მონაწილეობა მიიღოს, სურვილი უნდა წინ-დაწინვე განუცხადოს მიწად-მოქმედების სამინისტროს სასოფლო ეკონომიის განყოფილებას წერილობით. ამ ჟამად საორგანიზაციო კომიტეტი წეს-რიგსა და პროგრამას ადგენს შინა მრეწველობის მოღვაწეთა საერთო კრებისათვის, რომლის მოწვევაც ხსენებულ გამოფენის დროს არის განზრახული.

ქუთაისის გუბერნიის ქალაქების უძრავ მამულზე დაიდვა 1900 წლისთვის საერობო გარდასახალი სულ 31.500 მანეთი, რომელიც ასე განაწილდება: ქ. ქუთაისის მამულზე—7176 მანეთი, ბათუმის—16,119 მანეთი 50 კ., ფოთის—2058 მანეთი, ოზურგეთის—508 მანეთი და 50 კ., სოხუმის—4245 მან., ართვინის—1010 მან., რედუტკალესი—67 მან. და ზუგდიდის—316 მანეთი.

მთავარმართებლის საბჭოს, გაზ. „ტფ. ფურცლის“ სიტყვით, გარდაუწყვეტია საერობო საშუალებებიდან დახმარება აღმოუჩინოს სასოფლო სკოლებს ტფილისის გუბერნიაში—13,500 მან. და ქუთაისისში—14,100 მან.

ოთხის წლის წინად, როგორც ვიცით, საერო განათლების მინისტრმა ნება დართო საეპარქიო სასწავლებლებში კურს დასრულებულ ქალებს ქალების გიმნაზიების პირ-და-პირ მერვე კლასში შესვლისა უფლებამოსილად. მაგრამ ამ უნებ ეს განკარგულენა ისევ გაუქმებულ იქნა.

\* \*

ამას წინად უწმ. სინოდს წარედგინა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილეის აღსანიშნულად დაარსებულ იქნას პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში განსაკუთრებული კათედრა საქართველოს საეკლესიო ისტორიისა. როგორც იტყობინებია სატახტო ქალაქის გაზეთები, ეს შუამდგომლობა, სინოდის დადგენილების თანახმად, გადაეცა განსახილველად საგანგებო კომისიას, რომლის წევრებად დანიშნენ: დამსახურებული პროფესორი ტ. ვ. ბარსოვი, დამსახურებული პროფესორი ნ. ვ. პოკროვსკი და დოცენტი ა. ი. ბრილიანტოვი. კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება სასულიერო აკადემიის საბჭოს.

\* \*

ბათუმის ქართველებში დიდი მწუხარება იმისა, რომ ამდენს ხალხს აქ თაყიანთი ეკლესია არა აქვს. სომეხთა კათოლიკეების რიცხვი აქ 500 კაცი იქნება და ეკლესია აქეთ, თათრებს—სამი ჯამე, სომეხებს, სხვებს და ქართველებს-კი, რომელთა რიცხვი 7—8 ათასზედ მეტი იქნება, სალოაკვი ადგილი არ მოეპოვებათ.

\* \*

გამოვიდა მესამე ტომი ოფიციალურის გამოცემისა „გრძელ-ვადინ კრედიტის სტატისტიკა რუსეთში“. ამ გამოცემაში მოთავსებულია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ვალი აღდევს რუსეთში ადგილ მამულს, ცალკე აღთითათულის გუბერნიასა,—ვილი, რომელიც პატრონთ მართებთ სახელმწიფო და კერძო საკრედიტო დაწესებულებათა. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ 1898 წელს მთელის რუსეთის კერძო მემამულეთ მართებდათ ყველა ბანკებისა—1.468.930,876 მანათი; სულ დაგირავებულია 67 გუბერნიასი 119.280.496 დესეტინიდან 44%. ყველაზედ ნაკლებ დაგირავებულია ადგილ-მამულეები კავკასიის გუბერნიებში და ჩრდილოეთ-რუსეთში; ყველაზედ მეტად კ—რუსეთის ცენტრალურ, სამხრეთ, ვოლგისა და ბალტიის მხრის გუბერნიებში.

\* \*

# სახელმძღვანელო, საყუარდებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

მღვდელთა მსახურების წინ-რიგი მღვდელ-მთავრის წიკრავში და სხვა სახირო ცნობანი სამღვდლო და სამკალქსიო მოსამსახურეთათვის.

(თარგმნილი რუსულიდან მეექვსე გამოცემისა).

გაგრძელება.

უკეთუ დიაკვნათ ხელ დასახმელია ვინმე არქიდიაკვნის მიერ თქმის დროს: «ცხოვრებისათვის უკეთილმსახურებისა და უთვითმპყრობელისა...», პირველი და მეორე დიაკვნები წაიყვანებენ დიაკვნათ ხელდასახმელს მაღალი დასაჯდომლისაკენ და იქვედრებასა ჰყოფენ აღმოსავლით; შემდეგ მოზრუნდებიან, თაყანს ცემენ მღვდელ-მთავარს, გამოვლენ საკურთხევილიდან ჩრდილოეთის კარით და დადებიან ამბოხის დაბლა. გამოსვლის დროს დიაკვნათ ხელდასახმელი პირველ დიაკვნს მიჰყვება, ხოლო მეორე დიაკონი უკან მოხდეს. მღვდელ-მთავრის მიერ ასამალღებელის და იყვენ წყალობანი დიდისა ღვთისა და მცხოვრისა ჩვენისა...» თქმის შემდეგ, როცა მგალობლები იგალობებენ „და სულისსა და შენისათანა“, დიაკვნები იმავე რიგით და იმ დაღადისით, როგორც მღვდლათ ხელდასახმელის შესახებ იყო ნათქვამი, გამოჰყვებიან დიაკვნათ ხელდასახმელს, მიუკლდებენ სამეფო კარებამდე და შევლენ საკურთხევილში ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარებით. ხოლო დიაკვნათ ხელდასახმელს შემოხვდება სამეფო კარებით არქიდიაკონი და იტყვის: „ბძანე ყოვლად უსამღვდლოესო მეუფეო. ამის შემდეგ შემოარონინებს ტრაპეზის გარეშეშო სამ გზის იმ წესით, როგორც მღვდლის კურთხევის შესახებ ესთქეთ წინათ. მღვდელ-მთავრის მიერ ხელდასახმელზე საიდუმლოლოცვის: „სადმროთო მადლი, რომელი ყოვლადვე უძლურებათა ჩვენთა ჰკურნებს...“-ის წაითხვის წინ

\* ) იხ. „მწეგმისა“ 1900 წ. № 11



არქილიაკონი მოხდის მიტრას მღვდელ-მთავარს და ხმა ჰყოფს: „მოხედენ“, ხოლო „კირიელესიონ“-ის გალობის დროს იტყვის კვერექს ახალ ხელდასმულზე. კვერექსის სავდერბელებზე ჩვეულებისამებრ პირველი დიაკონი მიუვებს: „უფალო შეგვიწყალებ“ და „შენ უფალო“-ს. ხელდასახმელზე ყველა ლოცვების წაკითხვის შემდეგ, როცა არქილიაკონი მიტრას დაახუარავს მღვდელ-მთავარს, ხოლო ახლათ ნაკურთხი დიაკონი დადგება და გაჩერდება ტრაპეზთან, არქილიაკონი მიაართმევს მღვდელ-მთავარს გინგილას საკურთხებლად და კურთხევის შემდეგ, როცა ახლად ნაკურთხი დიაკონი ემთხვევა მას და აგრეთვე მღვდელ მთავარსაც ხელზე, დაადებს მარცხენა მხარზე. ამის შემდეგ პირველი დიაკონი მისცემს არქილიაკონს სამქდავებს, ხოლო იგი მიაართმევს საკურთხეველად მღვდელ-მთავარს და მერე ორნივე გაუკეთებენ ახალ ნაკურთხ დიაკონს. შემდეგ ამისა კიდევ არქილიაკონი მიიღებს პირველი იპოდიაჩოქისაგან რიპიდს, რომელსაც მღვდელ-მთავარის მიერ კურთხევის შემდეგ ვადასცემს ახალ ნაკურთხს.

ასამაღლებელის „და ღირს მყვენ ჩვენ მეუფეო...“-ს წინ, „მამაო ჩვენო“ გალობის დროს და აგრეთვე ასამაღლებელის „წმიდა-წმიდათა“-ს წინ არქილიაკონი მოხდის მღვდელ-მთავარს მიტრას, აივებს ზიარების შემდეგ კი დაახუარავს მას.

როცა ასამაღლებელის შემდეგ იტყვის მეორე დიაკონი: „მოხედენ“ და საკურთხეველში შევა სამხრეთის კართი, არქილიაკონი და სხვა ყველა დიაკვნებიც, რომელიც მომზადებულია საზიარებლად, დადგებიან ტრაპეზის ზემო მხარეს და იმ დროს, როცა მღვდელ-მთავარი ეზიარება იესო ქრისტეს სისხლს, არქილიაკონი სამ გზის იტყვის: „ის პოლლა ეტი დესპოტა“. შემდეგ მოუბრუნდება თანამწირველთა და ეტყვის: მღვდელ-არქიმანდრიტო, დეკანოზო, მღვდელნო და დიაკონნო მოვედით. მღვდლების შემდეგ მივლენ არქილიაკონი და დიაკვნებიც და მიიღებენ მღვდელ-მთავარისაგან ქრისტეს პატიოსან ხორცს, ხოლო სისხლს ეზიარებიან უფროსი თანამწირველის ხელით. ზიარების შემდეგ ნაწილებს მეორე დიაკონი ჩასწმენდს ფეშხუმიდან ბარძიშიში.

სამეფუო კარების გაღების შემდეგ მიიღებს არქილიაკონი წმ. ბარძიშის მღვდელ-მთავარისაგან და გამოასვენებს სამეფუო კარებში, ხოლო როცა მღვდელ-მთავარი ჯვარს გადასახავს მღვდმარე ერს და ისევ ტრაპეზთან მობრუნდება, მიაართმევს მას. არქილიაკონივე მიაართმევს მღვდელ-მთავარს საცეცხურს წმ. ძღვენთა ზე დასაკმევად და წაასვენებს ფეშხუმს სამკვეთლოზე, ხოლო უფროსი თანამწირველის მიერ ბარძიშის წასვენების დროს, იგივე უკმევს წმ. ძღვენთა და ამბობს: „რომელი ამაღლი ზეცად...“ შემდეგ საცეცხურს მისცემს ეკლესიის მსახურს. ამ დროს გამოვა მეორე დიაკონი საკურთხეველიდან ჩრდილოეთის კართი კვერექსის „აღმართენით მიმღებელნი...“-ს სათქმელად და კვერექსის დასასრულს შევა საკურთხეველში, ვდრებასა ჰყოფს ჩვეულებისამებრ და თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს. ხოლო ამბიონის ლოცვის კითხვის დროს მივა მღვდელ-მთავარის წინაშე ლოცვის „აღვსება სჯულისა და წინასწარმტყველთა...“ მოსასმენად და ლოცვა-კურთხევის დიაკონს და ანიშნებს, რათა ემთხვეოს რიპიდზე საღმბროთა გამოხატულებას; ხოლო როცა იგი კვლავ ემთხვევა მღვდელ-მთავარს მხარსა და ხელზე, წაიყვანს ტრაპეზის მარცხენა მხრისკენ და აჩვენებს, თუ როგორ უმწეროს რიპიდით წმ. ძღვენთა მიღების შემდეგ წავა სამკვეთლოსთან და დასწმენდს ბარძიშს.

განტეების შემდეგ მღვდელ-მთავარის შესამოსლის გახდის დროს „აჲ განმტევე“, „წმიდაო ღმერთო“ და სხვანი ითქმის არქილიაკონის მიერ. არქილიაკონივე მიიღებს ჯვარს და პანაგიას და, როცა მღვდელ-მთავარს ანაფორას ჩააკმევინ, დაკიდებს მათ. სხვა დიაკვნები მიიღებენ სამღვდელ-მთავრო შესამოსელს და დააწყობენ თევზზე; შემდეგ მოახვევენ მანტიას და მიაცილებენ მღვდელ-მთავარს კარის ბქემდე. აქ მოხდის ისევ და დაბრუნდებიან საკურთხეველში.

მღვდ. ი. ფანტავა.



# განცხადება

## დახლოვნებული მსახურის იოსებ მალაქის ძე ბაბუნაშვილისაგან.

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე, რომელსაც მისწავლია ხატვა ადვინდგან ჩამოყვანილის კარვის მხატვრისაგან და მაქვს ატესტაციც ამისთანა სწავლისათვის, ძეუღვეი ეკლესიების ხატების ხატვას. მინდოდ-რა საზოგადოდ დამტკიცებულყო ჩემი ხელობა, თუ როგორ ვხატავ. ამისთვის ვოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა ჩემი ნახატები ხატები: 1) ტიბულის, 2) კოტის, 3) სიმონეთის, — ეს სამი ეკლესიების მხატვრობები მიანდო მესამოწმებლათ 1) ქუთაისის სემინარიის რექტორს მ. ბენიამენს, 2) ქუთაისის სობორთს წინამძღვარს გაბრიელ ცაგარელს, 3) დეკანოზ იოსებ ჭეიშვილს და 4) ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარს ნიციფორეს. ამ არსებულმა პირებმა შეამოწმეს ეს ჩემი ნახტი ხატები ეკლესიებისა და დარჩა მოწონებული. ამისათვის ვთხოვთ მობრძანდეთ და ინახულოთ, თუ როგორ ვხატავ ჩემის უპირველეს მხატვრებით იმ ფასებში და იმ საშუალებით, რომელსაც დიდ სასიამოვნოთ მიიღებთ.

ჩემი სამხატვრო ქარხნა იმყოფება ქუთაისში მისხილოვას ქუჩაზე ქალაქის უზრავის წინ.

პატივისცემით იოსებ მალაქის ძე ბაბუნაშვილი და მლ. მ. ლაბი.

**ქიმო საავთომორო ანუ საბორონიოთხო**  
**ს. ბ. თოფჩიანი.**

ქირირგიტო შარდით სიფილისით და თვალების ავთომოფობისათვის.

ქ. ქუთაისში.  
სავთომოფოში ღვას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავთომოფოთათვის. მუწუქებიანი და ვადამდეები სენით ავთომოფენი არ მიიღებან, მოსიარულე ავთომოფენი მიიღებან ყოველ დღე 11 საათთან შუადღის 3 საათამდე.

**მმ. ვ. პ. ბერაბი.**  
დედაცაცურ ავთომოფოთა და საბებოო ქალ  
**მმ. მ. ვ. კოვანი.**

ჩვევა დარტყების ფასი 50 კ., კონსლიუმის ფასი 3 მ. დღე და დამე ქირა საავთომოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე, ანგოციანი ფასი ვარტყებაზე. სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფჩიანი.

### შ ი ნ ა ა რ ს ი :

**სალიტერატურო განყოფილება:** რუდაქციისაგან. — კიდევ ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ. — ბუნებითი სენი იღუმენი მ. თოფაენ. — ქიზიყის სამღვდლოების ცხოვრებიდან. — მსებთის საკრებულო ტაძრის განახლება ამ მიმდინარე საუკუნეში. — გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზედ არსებული წიგნთ-საცეც-სამკითხველო ქუთაისში. — ბრძენ და მეცნიერ კაცთა გონების სალოაროდან. — ცოდმა (ლექსი). — სასმანურის დაწყობილება იმერეთის მეფე სოლომონ მეორის დროს. — გლეხების ყოფ-მდგომარეობის შესახებ ახალი განკარგულება. — ახალი ამბები და შენიშენები.

**საპირმო და სახარებალო** ცნობათა განყოფილება: მღვდელთა მსახურების წესრიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საკირო ცნობანი სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთათვის. რუს. თარგ. ი. ფანცხავას მიერ. — განცხადება.

რუდაქტორ-გამომცემელი დეკ. მ. ლაბაშიძე. **Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 июня 1900 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елисеи  
Типог. редакци журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсдае на Нѣмецкой ул